რწმუნებულება

სს „საქართველოს ბანკი“-ის (ს/ნ 204378869) წარმომადგენელი **ზურაბი ალფაიძე** (პ/ნ 60001041187, შემდგომში - მარწმუნებელი) (მინდობილობით, გაცემული სს საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორის - არჩილ გაჩეჩილაძის მიერ 19.02.2025 წელს, რეგისტრაციის ნომერი: 250196734, ინდივიდუალური ნომერი: 84516940681625) ანიჭებს უფლებამოსილებას **შპს „ხმალაძე არქიტექტორები“**-ის (ს/კ: 404856376) დირექტორს, **გიორგი ხმალაძეს** (პ/ნ: 35001018932, შემდგომში - რწმუნებული), რათა მან მარწმუნებლის (სს საქართველოს ბანკის - შემდგომში „კომპანია“) სახელით განახორციელოს შემდეგი უფლებამოსილებები:

1. მინდობილი პირი უფლებამოსილია წარმოადგინოს კომპანია ქ. თბილისის მერიასთან და ქ. თბილისის მერისთან / მერიაში არსებულ ნებისმიერი დეპარტამენტთან / სამსახურთან / განყოფილებასთან გამგეობასთან და ასევე საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან ურთიერთობაში რათა მოიპოვოს პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვა უძრავ ქონებაზე საკადასტრო კოდით: 01.10.13.005.035
2. წინამდებარე მინდობილობის პირველ პუნქტში მოცემული მიზნით მისაღწევად, მინდობილი პირი უფლებამოსილია ჩააბაროს, ჩაიბაროს, გამოითხოვოს, ხელი მოაწეროს, ატვირთოს და მიიღოს ნებისმიერი და ყველა დოკუმენტაცია, კორესპონდენცია, მათ შორის და არა მხოლოდ არქიტექტურული და სხვა სახის პროექტები, სხვადასხვა სახის ექსპერტიზის დასკვნები, განცხადებები, შეთანხმებები და ა.შ., შეიტანოს ცვლილებები მის მიერ ჩაბარებულ დოკუმენტაციაში, შეასწოროს ისინი, გამოითხოვოს და ჩაანაცვლოს, გადაიხადოს ნებისმიერი და ყველა გადასახადი / მოსაკრებელი, დაესწროს შეხვედრებს, გამოთქვას მოსაზრებები ასეთ შეხვედრებზე და განახორციელოს ნებისმიერი და ყველა მოქმედება რაც აუცილებელია ამ მინდობილობის პირველ პუნქტში მითითებული მიზნის მისაღწევად.

წინამდებარე რწმუნებულება ძალაშია 2025 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

მარწმუნებელი

ზურაბი ალფაიძე ზურაბი ალფაიძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N250492297
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	28.04.2025 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ირმა შარვაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ჟ. შარტავას 42
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	591709917
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	11332097996825

მე, ნოტარიუსი ირმა შარვაძე /სანოტარო ბიურო მდებარე: თბილისი, ჟ. შარტავას 42/ ვამოწმებ ზურაბი ალფაიძის (დაბ.05.10.1990წ. პ/ნ: 60001041187, მისამართი: ქუთაისი პაოლო იაშვილის ქ. N 48) ხელმოწერის ნამდვილობას, რომელიც შესრულებულია ჩემი თანდასწრებით. დოკუმენტზე ხელმომწერის პირადობა დადგენილია, ქმედუნარიანობა შემოწმებულია.მე, არ ვადასტურებ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას, შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე პასუხს არ ვაგებ.
სანოტარო მოქმედება შესრულებულია გაგარინის #29ა-ში,სადაც მე მიმიწვიეს სანოტარო მოქმედების შესასრულებლად.

გადახდილია საზღაური: თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“) 31-ე, 34-ე და 39-ე მუხლებისა და საგადასახადო კოდექსის 166 მუხლისა. 1 ეგზემპლარზე 1 გვერდიან დოკუმენტზე შესრულებული 1 ხელმოწერისთვის 6,00 ლარი +35.00 ლარი სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული მოქმედებისთვის + დღგ 7.38 ლარი; რეგისტრაციის საფასური 5.00 ლარი;

ნოტარიუსი _____

ნოტარიუსი ირმა შარვაძე NOTARY IRMA SHARVADZE 01017022820

სანოტარო მოქმედების და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღების გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18